საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ივერია“

„ივერია“ (სააქციო საზოგადოება „ს ა ს ტ უ მ რ ო ი ვ ე რ ი ა "), სასტუმრო თბილისში. გაიხსნა 1967 (არქიტ. – ო. კალანდარიშვილი, თანაავტ. – ი. ცხომელიძე; სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1972). მდებარეობდა ქალაქის ცენტრში, რესპუბლიკის (ახლანდ. პირველი რესპუბლიკის) მოედანზე. 22-სართულიან სასტუმროში (282 ნომერი, 532 საწოლი ადგილი) გათვალისწინებული იყო როგორც უმაღლესი, ისე პირველი კატეგორიის ნომრები. თეძმის ტუფით მოპირკეთებული შენობის ინტერიერში უხვად იყო გამოყენებული ქართვ. ოსტატთა მაღალმხატვრული ნამუშევრები (არქიტექტორები: ა. კ. ბაქრაძე, ნ. ჯობაძე; მოქანდაკეები: ა. გორგაძე, გ. კალაძე, გ. კორძახია; მხატვრები: ბ. ბერძენიშვილი, თ. წერეთელი, ვ. ქოქიაშვილი). სასტუმროს ჰქონდა რესტორანი, საბანკეტო დარბაზი, ეროვნ. სამზარეულოს დარბაზი, ლუდისა და ღამის ბარები, კაფე, სამორინე, საკონფერენციო დარბაზი, სახურავზე განთავსებული იყო საცურაო აუზი. „ი." ემსახურებოდა როგორც ადგილ., ისე უცხოეთის მოქალაქეებს. 1992-იდან აქ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული და თბილისის ომის (1991–92) დროს დაზარალებული ოჯახები ცხოვრობდნენ. 2009 სექტემბრიდან, რეკონსტრუქციის შემდეგ, აქ განთავსდა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია".